

რომან ლოლუა

ინტენსიური თანხმონების შესახებ უდიურ ენაში

XIX ს-დან მოყოლებული თითქმის ყველა მკვლევარი უდიურში გამოყოფს მეორე რიგის სიბილანტებს (იგულისხმება ე.წ. ინტენსიური სიბილანტები). **ჟ**, **შ** შიშინებს უდიურში შენიშნავს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი (1). ერთი ასეთი სიბილანტი (**შ**) გვხვდება ა. დირის ნაშრომში უდიურის შესახებ (2). მეორე რიგის შიშინა სპირანტები ა. შიფნერის მსგავსად წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ” (3) და “უდიური ოთხთავის” ტექსტში (4). ასეთივე ვითარება გვაქვს უდიურ საანბანო წიგნშიც (5). ხუთი “ინტენსიური” შიშინა თანხმონანი (**ჟ**, **შ**, **ჯ**, **ჩ**, **ჭ**) წარმოდგენილია ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ (7, 9). ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათს რიგს უმატებს სისინა **წ** –ს (10). ინტენსიურ შიშინებს (**ჟ**, **შ**, **ჯ**, **ჩ**, **ჭ**) გამოყოფენ უდიურ მასალაში ა. ჰარიისი (13), ვ. შულცე (14) და უდიური ენის ზოგიერთი სხვა თანამედროვე მკვლევარი.

ვლ. ფანჩვიძის, ევგ. ჯეირანიშვილისა და ვ. გუკასიანის აზრით, უდიურს მოეყოლება შიშინა აფრიკატებისა და შიშინა სპირანტების “ინტენსიური” (“მყოვარი”) კორელატები: **ჯ**, **ჩ**, **ჭ**, **ჟ**, **შ** (7, 9, 10, 11...). ვლ. ფანჩვიძე ამ ბგერებს შემდეგ სიტყვებში აფიქსირებს: **შუმ** “პური”, **ჟე** “ქვა”, **შაღღესუნ** “აღულება”, **ჭოჭა** “წითელი”... (6, 706); ვ. გუკასიანი ადასტურებს შემდეგ სიტყვებში: **ჟშ** “ვაშლის ხე”, **ოჟულ** “კუდი”, **კონჯაუხ** “პატრონი”... (10, 85); ევგ. ჯეირანიშვილთან გვაქვს: **შუ** “ღამე”, **ბაჩ** “ასი”, **აჩი** “დაკარგული” “დამალული”, **ყაჭ** “ტკივილი” **ჭააბ** “გამქრალი”... (9, 14).

უდიურში “ინტენსიურების” არსებობასთან დაკავშირებით, ბ. გიგინეიშვილმა შენიშნა გამოთქვა. მისი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში მჟღერი ინტენსიურების (**ჟ**, **ჯ**) პოსტულირება (ასეთი ბგერები იბერიულ-კავკასიურ ენებში არ გვხვდება) და ინტენსიუობის კორელაცია ერთ ლოკალურ რიგში (შიშინათა) ეჭვქვეშ აყენებს ინტენსიურთა მთელი რიგის კვალიფიკაციას და

მათი “ინტენსივობა”, ბ. გიგინეიშვილის აზრით, მთელ რიგ შემთხვევაში გამოწვეულია ფარინგალიზებულ ხმოვნებთან მეზობლობით (15, 61-63).

ბ. თალიბოვი იხიარებს ამ მოსაზრებას (16, 181).

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, რომ სპეციალისტთა ჩანაწერების შედარებისას, ან, მით უფრო, ერთი მკლევარის მასალებში, თვალშისაცემია ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულად ჩაწერის ფაქტები: ზოგან ინტენსიურით, ზოგან კი არაინტენსიურით, მაგ., ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიაში “უდიური ენა” (9) წარმოდგენილია: იჟ (გვ. 22) – იუ (გვ. 208, 249) “თოვლი”; ჟოლ (გვ. 214) – ჟოლ (გვ. 33, 78) “საცობი”; უჭ (გვ. 22) – უჭა (გვ. 217, 254) “თაფლი”; კაჭი (გვ. 28, 219) – კაჭი (გვ. 255) “ბრმა”; ჭოჭა (გვ. 220, 258) – ჭოჭა (გვ. 32) “წითელი”.

სამეცნიერო ლიტერატურაში ინტენსიურ შიშინათა ფონემურობის დამტკიცების ერთადერთი მცდელობა ყოფილა. ევგ. ჯეირანიშვილს ინტენსიურთა დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მინიმალური წყვილები: შუ “ღამე” – შუ “ვინ”; ბაჩ “ასი” – ბაჩ “ქვევრზე დასაფარებელი ქვა”; აჩი “დაკარგული” “დამალული” – აჩი “თამაში”; ყაჭ “ტკივილი” – ყაჭ “ვიწრო”; ჭაა “გამქრალი” – ჭაა “ვაზი” (9, 14).

სამეცნიერო მივლინებით რამდენჯერმე (2007-2009 წწ.) ვიმყოფებოდით ყვარლის რაიონში უდიებით დასახლებულ სოფ. ოქტომბერში (ზინობიანი). მივლინებისას გადავამოწმეთ ის სიტყვები, რომლებშიც, მკლევართა აზრით, ინტენსიური თანხმოვნები უნდა გვქონოდა. ჩვენი დაკვირვებით, უმრავლეს შემთხვევაში “ინტენსიური” თანხმოვანი დაფიქსირებულია იქ, სადაც გვაქვს ფარინგალიზებული მარცვალი*. სხვა

* ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა: ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია არის ხმოვნის თვისება (ევგ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანვიძე, ვ. გუკასიანი, ბ. თალიბოვი, ე. ბოკარევი, შ. გაფრინდაშვილი, ბ. გიგინეიშვილი ...), ხოლო სხვები მას თანხმოვანთა თვისებად განიხილავენ (ნ. ტრუბეცკოვი, ჟ. დიუმიჯილი, ა. მაჰომეტოვი, დ. იმნაიშვილი, ე. ლომთაძე ...). უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურება ერთნაირად წარმოუდგენიათ იმ სპეციალისტებსაც, რომლებიც ფარინგალიზებულ ხმოვნებს ფონემებად მიიჩნევენ და იმათაც, ვინც

შემთხვევებში კი “არაინტენსიური” და “ინტენსიური” შიშინა თანხმონები გამოითქმის ერთნაირად.

ყურადღება გაგამახვილეთ, აგრეთვე, ევბ. ჯეირანიშვილის მიერ “ინტენსიურების” ფონემურობის დასამტკიცებლად მოყვანილ მაგალითებზე და დავიმოწმეთ შემდეგი სიტყვები: *აჩი* “დაკარგული”, “დამაღული” (ა ნიშნით ფარინგალიზებულ მარცვალს აღვნიშნავთ) – შდრ. *აჩი* (9, 14); *ბაჩ* “ასი” – შდრ. *ბაჩ* (9, 14); *ბაჩ* “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ. *ბაჩ* (9, 14); *ყაჭ* “ტკივილი”, “დაჭლეტვა”, “დაწნეხვა” – შდრ. *ყაჭ* “ტკივილი” (9, 14). *შუ* “ღამე” – *შუ* “ვინ” და *ჭაა* “გამქრალი” – *ჭაა* “ვაზი” მაგალითების შემთხვევაში კი ინფორმატორებისაგან შემდეგი განმარტება მივიღეთ: ესენი ერთი და იგივე უღერადობის სიტყვებია, მაგრამ თითოეულს ორი მნიშვნელობა აქვს.

საფიქრებელია, რომ უდიურში გავრცელებულ ფარინგალიზაციასა და მკლევართა მიერ დამოწმებულ “ინტენსიურებს” შორის კავშირი არსებობს. სპეციალისტთა მასალებში უმეტეს შემთხვევაში “ინტენსიური” თანხმონები “დაფიქსირებულია” “ფარინგალიზებული” ხმოვნების უშუალო სიახლოვეს (პოსტპოზიციაში, პრეპოზიციაში ან ინტერვოკალურ პოზიციაში), მაგ.: *ოშ* “ვაში”, *ოჟ* “თოვლი”, *ოჟუნა* “ზამთარი”, *ქაღღესუნ* “აღუღება”, *ჟუ* “ქვა”, *ბაჭ* “ასი”, *უკბაჭ* “ექვსასი”, *ოჟიღ* (ვართ.)//*ოჟულ* (ნიჯ.) “კული”, *ჭოჭა* “წითელი”...

უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მკლევართა (ევბ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანჩვიძე და ვ. გუკასიანი) ჩანაწერების შედარებისას ანდა ერთი სპეციალისტის მასალებში ხშირია “ფარინგალიზებული” ხმოვნებისა და “ინტენსიური” თანხმონების მონაცვლეობის შემთხვევები, ანუ ერთსა და იმავე სიტყვაში ზოგჯერ დაფიქსირებულია გვერდიგვერდ მყოფი “ფარინგალიზებული” ხმოვანი და “არაინტენსიური” შიშინა თანხმონი, ზოგჯერ კი, “ინტენსიური” შიშინა და “მარტივი”

ფარინგალიზაციის მიზეზს თანხმონებს მიაწერენ.

გასაზიარებელი ჩანს გ. დეცტერსის მოსაზრება (17, 33). მისი აზრით, ფარინგალიზაცია არის თვისება, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას (თანხმონსა თუ ხმოვანს), არამედ მარცვალს, ანდა მთელ სიტყვას.

ხმოვანი, ანდა “ინტენსიური” შიშინა და “ფარინგალიზებული” ხმოვანი, მაგ., *იუ* (9, 22) – *იუ* (იქვე, 208, 212; 7, 19) – *იუ* (12, 130) “თოვლი”; *ჟე* (9, 206; 7, 29) – *ჟე* (12, 114) “ქვა”; *ოჯილ* (7, 29) – *ოჯილ* (12, 182) – *ოჯილ* (9, 205) “კუდი”; *იშა* (7, 30) – *იშა* (იქვე, 19) – *იშა* (9, 205) – *იშა* (12, 130) “ახლოს”; *ჩო* (7, 30; 12, 242) – *ჩო* (9, 203) “სახე”; *ქან/ქან/ქაშ* (9) – *ქაშ* (7, 30; 12, 133) “ორმო”, “თხრილი” – *ქაშ-კალ* (12, 134) “ორმოს/თხრილის კიდე”...

გვაქვს შემთხვევები, როცა ერთ დიალექტში დაფიქსირებულია “ინტენსიური” თანხმოვანი, მეორეში კი “ფარინგალიზებული” ხმოვანი, მაგ.: *ჟუეცესუნ* (ნიჯ.) – *ჩუხტესუნ* (ვართ.) “შეყოფა”, “შეტენვა”, “შეტრა” (12, 115); *ოჟულ* (ნიჯ.) – *ოჟილ* (ვართ.) “კუდი” (12, 182)...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც მკვლევართა აზრით “ინტენსიური” თანხმოვნები უნდა გექნოდნენ. საყურადღებოა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, სადაც სპეციალისტთა მიერ დაფიქსირებულია ინტენსიური, ჩვენ დავიმოწმეთ ფარინგალიზებული მარცვალი, მაგ.: *ანი* “დაკარგული”, “დამალული” – შდრ. *ანი* (9, 14); *ანიბესუნ* “დაკარგვა” – შდრ. *ანიბესუნ* (7, 30); *ბაჩ* “ასი”, “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ. *ბაჩ* “ასი” (9, 14); *ჟშ* “ვაშლი” – შდრ. *ჟშ* (12, 85); *იუ* “თოვლი” – შდრ. *იუ* (9, 22) და *იუ* (12, 85); *იშა* “ახლოს” – შდრ. *იშა* (7, 29) და *იშა* (12, 130); *იშეკესუნ* “ვარცხნა”, “დავარცხნა” – შდრ. *იშეკესუნ* (12, 130); *კაჭი* “ბრმა” – შდრ. *კაჭი* (9, 28, 219); *ჟაღდესუნ* “ადუღება” – შდრ. *შაღდესუნ* (7, 29) და *ჟაღდესუნ* (12, 114); *ჟიკ* “ქნევა”, “რწევა” – შდრ. *ჟიკ* (12, 114); *ჟილ* “საცობი” – შდრ. *ჟილ* (9, 214); *ჟომიხ* “პირი” – შდრ. *ჟომიხ* (12, 114); *ჟილულ* “ზაფხული” – შდრ. *ჟილულ* (7, 30); *ოჩაღ* “მიწა”, “ზედაპირი” [დედამიწის], “ნიადაგი” – შდრ. *ოჩაღ* (7, 29); *ოჭი/ოჭი* “ცალახი” – შდრ. *ოჭი* (7, 29); *უჭ* “თაფლი” – შდრ. *უჭა* (9, 217, 254; 7, 29); *ქანფესუნ* “ამოთხრა”, “ჩაფვლა” – შდრ. *ქაშფესუნ* (ნიჯ.; 7, 30); *ღაჩფესუნ* “შეკერა”, “შეყოფა” – შდრ. *ღაჩფესუნ* (7, 29); *ყაჭ*

“ტკივილი”, “დაჭლეტვა”, “დაწნეხვა” – შდრ. *ყაჭა* “ტკივილი” (9, 14); *შუმაკ* “დედალი” – შდრ. *შუმაკ* (12, 250); *ჩო/ჩო* “სახე” – შდრ. *ჩო* (7, 29); *ჭოჭა* “წითელი” – შდრ. *ჭოჭა* (9, 220, 258; 7, 29) *მუჭა* “ტკბილი” – შდრ. *მუჭა* (9, 310)...

სხვა ლექსიკურ ერთეულებში კი, სადაც მკვლევრები “ინტენსიურებს” არსებობას ვარაუდობენ, გვაქვს “ჩვეულებრივი” შიშინა თანხმოვნები (შდრ. ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის დებულება: *“Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов, например: ачи (<ачъи) «потерянный», «утеренный» - ачи «игра», шу (<шъу) «ночь» - шу «кто», чланI (<чланI) «угасший» - чланI «лоза»”* – 8, 686; ეს მაგალითები შდრ. ევგ. ჯეირანიშვილის მიერ “ინტენსიურების” ფონემურობის საილუსტრაციოდ მოყვანილ მინიმალურ წყვილებს – იხ. ზემოთ).

ინტენსიური თანხმოვნების არარსებობას უდიურში ადასტურებს ისიც, რომ “ინტენსიურ” შიშინა თანხმოვანთა და “ფარინგალიზებული” ხმოვნების არტიკულაციის თავისებურებები სპეციალისტებს თითქმის ერთნაირად წარმოუდგენიათ: *“აღნიშნულ ხმოვანთა (“ფარინგალიზებული” ხმოვნები იგულისხმება – რ. ლ.) წარმოსათქმელად შემართვის მომენტისათვის პირის ღრუს ღიაობა და ენის მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორც მარტივი ხმოვნებისა, ოღონდ ამ ხმოვანთა წარმოთქმის დროს ენა უფრო ჩაზნექილია და უკან გადაწეული, ენის კიდეები თითქმის ებჯინებიან გვერდით კბილებს, ენის უკანა ნაწილი ოდნავ აწეულია და უახლოვდება რბილ სასას”* (9, 10), შდრ. მის “ინტენსიურთა” დახასიათებას: *“წარმოთქმის მომზადების მომენტი თითქმის ისეთივეა, როგორც შესაბამისი “ჩვეულებრივი” ალვეოლარული თანხმოვნებისა – ჯ, ჩ, ჭ აფრიკატებისა და ჟ, შ სპირანტებისა, ოღონდ ამ თავისებურ ბგერათა წარმოთქმის დროს ენა ამოზნექილ მდგომარეობაში უფრო უკან გადაიწევეს, მისი შუა ნაწილი თითქმის ებჯინება კბილ-ნუნებს”* (9, 13), შდრ., აგრეთვე, ვლ. ფანჩვიძის “ინტენსიური” შიშინა თანხმოვნების დახასიათებას: *“ნუნასთან ხშვას ან ნაპრალს ჰქმნის არა ენის წვერი, არამედ ენის წვერი და შუა ენის ნაწილი, თანაც არტიკულაცია ფართოვდება უკან*

მაგარ სასაზოც (ენა დაკეცილია, წერი დაწეულია – ზური აწეული)” (7, 39)*.

დამოწმებული ლიტერატურა

1. A. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden, St. Petersburg, 1863.
2. A.M. Дурр, Грамматика удинского языка, Тифлис, 1904.
3. *რუტამ* (Удинская сказка), М. Бежанов, Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XII, Тифлис, 1988.
4. *Господа Нашего Иисуса Христа Святое Евангелие от Матвея, Марка, Луки и Иоанна*, С. Бежанов, Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XXX, Тифлис, 1902.
5. *სამჯი დვს* (უდიური საანბანო-საკითხავი წიგნი), სოსუმე, 1934.
6. *ვლ. ფანჩვიძე*, უდიური ენა და მისი კილოები, ენიმკის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1937.
7. *ვლ. ფანჩვიძე*, უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974.
8. В.Н. Панчвидзе, Е.Ф. Джейранишвили, Удинский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки. Москва, 1967.
9. *ევგ. ჯეირანიშვილი*, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომატია, ლექსიკონი), თბილისი, 1971.
10. В.Л. Гукасян, Ниджский диалект удинского языка (звуковой состав и некоторые фонетические процессы), Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, №3. Баку, 1963.
11. В.Л. Гукасян, Фонетические и морфологические особенности ниджского диалекта удинского языка, Баку, 1965.
12. В.Л. Гукасян, Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку, 1974.

* საყურადღებოა ს. კობასოვის მოსაზრება: იგი ფარინგალიზაციას პროსოდის თვისებად განიხილავს და ერთგვარ პოზიციურ კანონზომიერებებს აღგენს. მისი აზრით, თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა ან ფარინგალური თანხმოვანი, მაშინ ფარინგალიზაციის პიკი მოდის მასზე. ველარიზაციას, რომელიც ადრევე შიშინა თანხმოვანს განსხვავებულ ტემბრს (ჩვენი აზრით, ამან შეიყვანა შეცდომაში უდიური ენის ზოგიერთი მკვლევარი), ს. კობასოვი ფარინგალიზაციის თანამდევ პროცესად მიიჩნევს (18, 347), რასაც ვეთანხმებით.

13. *Alice C. Harris.*, Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford, 2002.
14. *W. Schulze*, Die Sprache der Udi in Nord-Azerbaidzan, Wiesbaden, 1982.
15. *Б.К. Гигенейшвили*, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси, 1977.
16. *Б.Б. Талибов*, Сравнительная фонетика лезгинских языков. Москва, 1980.
17. *G. Deeters*, Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln, 1963.
18. *А.Е. Кибрик, С.В. Кодзасов*, Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика, Москва, 1990.